

თვითმმართველი ქალაქი ბათუმის საკრებულოს

დადგენილება №1

2014 წლის 31 იანვარი

ქ. ბათუმი

„თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის №45 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, (სსმ, 30.12.2013 წ.) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დადგენილების I თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი I

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის ბალანსი

1. განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა	2014 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	151423.8	93133.2	97039.8	7372.5	89667.3
გადასახადები	12619.0	12570.0	13000.0		13000.0
გრანტები	116363.9	61866.8	68114.8	7372.5	60742.3
სხვა შემოსავლები	22440.9	18696.4	15925.0		15925.0
ხარჯები	75449.2	62887.8	69339.8	91.5	69248.3
შრომის ანაზღაურება	7322.7	8201.2	8470.0		8470.0
საქონელი და მომსახურება	17852.2	16496.3	17043.6		17043.6
პროცენტი	2202.4	2601.9	3260.3		3260.3



სუბსიდიები	16444.0	22705.1	27907.6	33.8	27873.8
სოციალური უზრუნველყოფა	4477.8	4826.5	3709.5		3709.5
სხვა ხარჯები	27150.2	8056.8	8948.8	57.7	8891.1
საოპერაციო საღდო	75974.7	30245.4	27700.0	7281.0	20419.0
არაფინანსური აქტივების ცვლილება	93590.3	37927.7	41292.3	6877.6	34414.7
ზრდა	107271.2	38487.7	42292.3	6877.6	35414.7
კლება	13680.9	560.0	1000.0		1000.0
მთლიანი საღდო	-17615.6	-7682.3	-13592.3	403.4	-13995.7
ფინანსური აქტივების ცვლილება	-19133.9	-9284.6	-21691.3	-33.8	-21657.5
კლება	19133.9	9284.6	21691.3	33.8	21657.5
ვალუტა, დეპოზიტები	19133.9	9284.6	21691.3	33.8	21657.5
ვალდებულებების ცვლილება	-1518.3	-1602.3	-8099.0	-437.2	-7661.8
კლება	1518.3	1602.3	8099.0	437.2	7661.8
სესხები	1518.3	1602.3	7661.8		7661.8
სხვა კრედიტორული დავალიანებები			437.2	437.2	
ბალანსი	0	0	0	0	0

2. განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

	(ათას ლარებში)				
დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა	2014 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	165104.8	93693.2	98039.8	7372.5	90667.3
შემოსავლები	151423.8	93133.2	97039.8	7372.5	89667.3
არაფინანსური აქტივების კლება	13680.9	560.0	1000.0		1000.0
გადასახდელები	184238.7	102977.8	119731.1	7406.3	112324.8
ხარჯები	75449.2	62887.8	69339.8	91.5	69248.3



არაფინანსური აქტივების ზრდა	107271.2	38487.7	42292.3	6877.6	35414.7
ვალდებულებების კლება	1518.3	1602.3	8099.0	437.2	7661.8
ნაშთის ცვლილება	-19133.9	-9284.6	-21691.3	-33.8	-21657.5

მუხლი 2. თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის შემოსავლები 97039.8 ათასი ლარის ოდენობით:

	(ათას ლარებში)			
დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა	2014 წლის გეგმა	
შემოსავლები	151423.8	93133.2	97039.8	
გადასახადები	12619.0	12570.0	13000.0	
გრანტები	116363.9	61866.8	68114.8	
სხვა შემოსავლები	22440.9	18696.4	15925.0	

მუხლი 3. თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის გადასახადები 13000.0 ათასი ლარის ოდენობით:

	(ათას ლარებში)			
კოდი	დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა	2014 წლის გეგმა
11	გადასახადები	12619.0	12570.0	13000.0
113	გადასახადები ქონებაზე	12616.3	12570.0	13000.0
1131	გადასახადები უძრავ ქონებაზე	12616.3	12570.0	13000.0
11311	ქონების გადასახადი	12616.3	12570.0	13000.0
113111- 113112	საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	10934.2	11000.0	11430.0
113113	ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	673.8	520.0	520.0
113114- 113115	მიწაზე ქონების გადასახადი	1008.3	1050.0	1050.0
116	სხვა გადასახადები	2.7		



მუხლი 4. თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის გრანტები 68114.8 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)					
კოდი	დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა	2014 წლის გეგმა	
13	გრანტები	116363.9	61866.8	68114.8	
133	სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	116363.9	61866.8	68114.8	
1331	მიმდინარე დანიშნულების გრანტები	116363.9	61866.8	68114.8	
	ტრანსფერი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან	108559.4	54568.0	59914.8	
13311	გათანაბრებითი ტრანსფერი	40975.5	44494.8	52542.3	
13312	სპეციალური ტრანსფერი	64885.6	9448.4	7372.5	
	ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	64024.5			
	ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	861.1	9448.4	7372.5	
	საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან	513.1	9448.4	7372.5	
	საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან	300.0			
	საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან	48.0			
13312	სხვა სპეციალური ტრანსფერი	2698.2	624.8		
13312	სპეციალური ტრანსფერი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	7804.5	7298.8	8200.0	

მუხლი 5. თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 15925.0 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)					
კოდი	დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა	2014 წლის გეგმა	
14	სხვა შემოსავლები	22440.9	18696.4	15925.0	
141	შემოსავლები საკუთრებიდან	7896.3	3900.0	1625.0	



1411	პროცენტები	6980.4	3025.0	750.0
1415	რენტა	915.9	875.0	875.0
14151	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	283.1	250.0	250.0
14154	შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	632.8	625.0	625.0
142	საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	9995.8	9340.0	11350.0
1422	ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	9990.2	9340.0	11350.0
14223	სანებართვო მოსაკრებლები	373.9	340.0	300.0
1422312	მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე	373.9	340.0	300.0
14229	საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	1.4		
142212	სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	10.2		
142213	სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	7976.6	7000.0	9050.0
142214	მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	1605.6	2000.0	2000.0
142299	სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	22.5		
1423	არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	5.6		
14232	შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	5.6		
142321	შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	5.6		
143	სანქციები (ჯარიმები და საურავები)	3188.1	4711.4	2500.0
145	შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	1360.7	745.0	450.0

მუხლი 6. თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის ხარჯები 69339.8 ათასი ლარის
ოდენობით:

	(ათას ლარებში)			
კოდი	დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა	2014 წლის გეგმა



2	ხარჯები	75449.2	62887.8	69339.8
21	შრომის ანაზღაურება	7322.7	8201.2	8470.0
22	საქონელი და მომსახურება	17852.2	16496.3	17043.6
24	პროცენტი	2202.4	2601.9	3260.3
25	სუბსიდიები	16444.0	22705.1	27907.6
27	სოციალური უზრუნველყოფა	4477.8	4826.5	3709.5
28	სხვა ხარჯები	27150.2	8056.8	8948.8

მუხლი 7. თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 41292.3 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 42292.3 ათასი ლარის ოდენობით:

	(ათას ლარებში)			
კოდი	დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა	2014 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	1835.5	623.4	610.1
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	8.4		
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	92415.0	30671.5	30475.4
04 00	განათლება	2423.7	1470.3	4494.5
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	6445.4	4579.3	6703.4
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	4143.2	1143.2	8.9
სულ		107271.2	38487.7	42292.3

ბ) განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 1000.0 ათასი ლარის ოდენობით:

	(ათას ლარებში)			
კოდი	დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა	2014 წლის გეგმა
31	არაფინანსური აქტივები	13680.9	560.0	1000.0



311	ძირითადი აქტივები	9811.0	190.0	
314	არამწარმოებლური აქტივები	3870.0	370.0	1000.0

მუხლი 8. თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში 111632.1 ათასი ლარის ოდენობით:

	(ათას ლარებში)			
კოდი	დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა	2014 წლის გეგმა
7	სულ	182720.4	101375.5	111632.1
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	13997.1	14315.0	14900.3
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	11287.8	11622.9	11640.0
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	11287.8	11050.0	11364.7
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა		572.9	275.3
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	2645.3	2601.9	3260.3
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	64.0	90.2	
702	თავდაცვა	38.8	45.0	45.0
7025	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა თავდაცვის სფეროში	38.8	45.0	45.0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	55.9		
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	55.9		
704	ეკონომიკური საქმიანობა	43029.7	25312.5	25311.0
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	9.7	227.2	1555.0
70421	სოფლის მეურნეობა	9.7	227.2	1555.0
7045	ტრანსპორტი	34661.0	24436.8	22399.8
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	34661.0	23935.8	21954.3



70452	საზღვაო ტრანსპორტი		501.0	445.5	
7047	ეკონომიკის სხვა დარგები		185.0	740.0	
70473	ტურიზმი		185.0	740.0	
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	8359.0	463.5	616.2	
705	გარემოს დაცვა	9035.9	10173.5	12063.2	
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	6205.1	6069.2	6942.8	
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	2830.7	4104.3	5120.4	
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	77833.0	18657.5	20490.8	
7061	ბინათმშენებლობა			2500.0	
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	51489.6	8878.5	9236.9	
7063	წყალმომარაგება	22653.1	4976.9	4849.9	
7064	გარე განათება	3690.3	4121.3	3238.0	
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში		680.8	666.0	
707	ჯანმრთელობის დაცვა	692.0	1945.8	1603.8	
7071	სამედიცინო პროდუქცია, მოწყობილობები და აპარატები	129.0	183.6	244.9	
70711	ფარმაცევტული პროდუქცია	129.0	183.6	244.9	
7072	ამბულატორიული მომსახურება	152.6	162.8	97.2	
70722	სპეციალიზებული ამბულატორიული მომსახურება	152.6	162.8	97.2	
7073	სავადმყოფოების მომსახურება	81.5	100.8	287.5	
70732	სპეციალიზებული სავადმყოფოების მომსახურება	81.5	61.6	227.6	
70734	სანატორიუმებისა და გამაჯანსაღებელი სახლების მომსახურება		39.2	59.9	
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	120.3	1030.7	828.3	
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	208.5	467.9	145.9	
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	23354.0	17860.5	18703.1	
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	18641.4	12650.8	13555.9	



7082	მომსახურება კულტურის სფეროში	4352.8	4848.9	4762.2
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	359.8	360.8	385.0
709	განათლება	6771.3	8109.6	14251.7
7091	სკოლამდელი აღზრდა	6771.3	8109.6	14246.7
7092	ზოგადი განათლება			5.0
70922	საბაზო ზოგადი განათლება			5.0
710	სოციალური დაცვა	7912.8	4956.1	4263.2
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	22.7	27.8	25.4
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	22.7	27.8	25.4
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	504.5	545.2	629.7
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	1135.5	1367.5	1112.6
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას	6202.2	3015.6	2495.5
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	47.9		

მუხლი 9. თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის მთლიანი სალდო - 13592.3 ათასი ლარის ოდენობით:

მუხლი 10. თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება - 21691.3 ლარის ოდენობით:

ა) განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 21691.3 ათასი ლარის ოდენობით:

	(ათას ლარებში)			
კოდი	დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა	2014 წლის გეგმა
32	ფინანსური აქტივების ცვლილება	-19133.9	-9284.6	-21691.3
	კლება	19133.9	9284.6	21691.3
321	საშინაო	19133.9	9284.6	21691.3



3212	ვალუტა და დეპოზიტები	19133.9	9284.6	21691.3
მუხლი 11. თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება				
1. განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება - 8099 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:				
ა) განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 8099.0 ათასი ლარის ოდენობით:				
		(ათას ლარებში)		
კოდი	დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა	2014 წლის გეგმა
33	ვალდებულებების ცვლილება	-1518.3	-1602.3	-8099.0
	კლება	1518.3	1602.3	8099.0
331	საშინაო	1518.3	1602.3	8099.0
3314	სესხები	1518.3	1602.3	8099.0

ბ) დადგენილების II თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„თავი II

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 12. თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები შემდეგი რედაქციით:

პრიორიტეტი: ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

- ქალაქის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, კომუნალური და ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარება, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის პარალელურად პრიორიტეტის შესაბამისად დაგეგმილი პროგრამების ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 03 01)

ქალაქის პერსპექტიული განვითარებისათვის მნიშვნელოვანია მიმართულების მუდმივი სრულყოფა ქუჩების დაპროექტების, მშენებლობის და ექსპლოატაციის სფეროში. ნორმალური ქუჩა



1.1.

და გზა ხელს უწყობს საავტომობილო ტრანსპორტის განვითარებას. საავტომობილო ტრანსპორტის განვითარება კი განსაზღვრავს ეკონომიკის განვითარების ტემპებს და დონეს. ტრანსპორტის ფუნქციონირება შესაძლებელია მხოლოდ გზებისა და ქუჩების განვითარებული ქსელის არსებობის პირობებში, რომელსაც გააჩნია ყველა თვისება უსაფრთხო მოძრაობისათვის. ნორმალური ქუჩა და გზა დადებითად მოქმედებს ეკონომიკისა და სოციალური დონის განვითარებაზე. ამავე დროს, ქ. ბათუმს გააჩნია ხელსაყრელი ადგილმდებარეობა ტრანზიტული მიმოსვლის თვალსაზრისით. რეგიონთაშორის და სახელმწიფოთაშორის სატრანსპორტო კორიდორის შექმნას განსაკუთრებული ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქალაქისათვის, არამედ მთელი რეგიონისათვის. ქალაქის მოვლილი ქუჩები, გზები და ტროტუარები ასევე მნიშვნელოვანია ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მხრივ.

აქტუალურია ასევე ქალაქში მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის შემდგომი განვითარება, რაც გულისხმობს მუნიციპალური ავტობუსების სისტემის გაუმჯობესებას.

გზების, ქუჩებისა და ტროტუარების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 01 01)

ასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;

არასასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;

აღმშენებლის ქუჩის რეაბილიტაცია;

ბაგრატიონისა და ერისთავის ქუჩების რეკონსტრუქცია (ვაჟა-ფშაველას ქუჩიდან გოგოლის ქუჩამდე);

მ. აბაშიძის (კ. გამსახურდიას ქუჩიდან ზ. გამსახურდიას ქუჩამდე) ქუჩის სავალი ნაწილის გაფართოება;

ზ. გამსახურდიას ქუჩის სავალი ნაწილის გაფართოება;

ქუთაისის ქუჩის სავალი ნაწილის გაფართოება;

აეროპორტის გზატკეცილის №55-ის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;

კობალაძის ქუჩის კეთილმოწყობა;

კ. აფხაზის ქუჩის მონაკვეთის მოასფალტება;

1.1.1.

3. აბაშიძის ქუჩის მონაკვეთის (ქავჭავაძის ქუჩიდან პუშკინის ქუჩამდე) კეთილმოწყობა;

შარაშიძის ქუჩის მონაკვეთის კეთილმოწყობა;

ქალაქის შემოერთებულ ტერიტორიებზე ბეტონის გზების მოწყობა;

ჰელიმიშის ქუჩის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია;

ქავჭავაძისა და აბუსერიძის ქუჩებზე ასფალტის საფარის დაგება, წრიულის მოწყობა;

გოგებაშვილის ქუჩის გზაგამყოფ ზოლში დეკორატიული დამცავი ღობის მოწყობა;

მელიქიშვილის ქუჩაზე (რუსთაველის ქ-დან მ. აბაშიძის ქ-მდე) ტროტუარის კეთილმოწყობა;

ქალაქის ცენტრალურ ნაწილში ტროტუარებზე ხეების ირგვლივ ჩამკეტი ბორდიურების მოწყობა;

ქავჭავაძის ქუჩაზე ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე ტროტუარის კეთილმოწყობა;

ქავჭავაძისა და ს. ხიმშიაშვილის ქუჩების კვეთაში ტროტუარის მოწყობა;

ქავჭავაძის ქუჩის დასაწყისში გზაგამყოფ ზოლში დეკორატიული ფილებისა და ბაზალტის ბორდიურების მოწყობა;

ხედალელეს ქ. №54-ის მიმდებარედ გზის სავალ ნაწილზე საყრდენი კედლის მოწყობა.



სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია;

1.1.2.

სატრანსპორტო-საგზაო რეგულირების თანამდეროვე საშუალებების დანერგვა;

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.

მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის განვითარება (პროგრამული კოდი 03 01 03)

1.1.3.

მუნიციპალურ ტრანსპორტის ტარიფების სუბსიდირების მიზნით შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ საოპერაციო დეფიციტის დაფარვა;

ნაპირგამაგრებითი სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 01 04)

1.1.4.

მეზღვაურის ქ. №10-ში ხიდისა და საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე სარეგულაციო კედლის მშენებლობა და არსებული ჯებირის გამაგრება; აეროპორტის გზატკეცილის №118-ის მიმდებარე ტერიტორიაზე ხიდთან მდინარეზე ჯებირის მოწყობის სამუშაოები;

პეტრე იბერის II ჩიხის №1-ში მდინარის ნაპირგამაგრება;

ნიჟარაძის ქ. მდ. ბარცხანას მარცხენა ნაპირის გამაგრებაზე გაბიონური წყობით.

კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 03 02)

ქალაქის კომუნალური მეურნეობა წარმოადგენს რთულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას, რომელიც მოსახლეობის ცხოვრებისეულ პირობებს ქმნის, უზრუნველყოფს საქმიანობის განხორციელებას, ასევე მეურნეობის სხვადასხვა დარგებში მომუშავე საწარმოებისა და ორგანიზაციების შეუფერხებელ, გამართულ ფუნქციონირებას.

ქალაქის დინამიკური ცხოვრების რიტმიდან გამომდინარე, კომუნალური სფეროს და მართვის სისტემებში ცვლილებებისა და ნოვაციების გარეშე შეუძლებელია მისი ეფექტური ფუნქციონირება.

1.2

ქალაქის განაშენიანების ახალი პროექტებიდან გამომდინარე უახლოეს მომდევნო წლებშიც კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება კვლავაც პრიორიტეტად რჩება. 2007 წლიდან მიმდინარეობს „ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტი“ რომელიც გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) შეღავათიანი სესხით და ქ. ბათუმის ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება. პროექტი ითვალისწინებს ქალაქის წყალმომარაგების, საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემის სრულ რეაბილიტაციას.

მიწისქვეშა კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პარალელურად პრიორიტეტულია ასევე ქალაქში არსებული ავარიული სახლების რეაბილიტაცია და საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა.

სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

სანიაღვრე ქსელების მიმდინარე მოვლა-ექსპლოატაცია;

ჟილინის არხის კაპიტალური რეკონსტრუქცია;

შ. ხიმშიაშვილის ქ. №68, 70, 72, 74, 76 საცხოვრებელი სახლების მიმდებარე ტერიტორიაზე დატბორვის აღმოფხვრის მიზნით გასატარებელი სამუშაოები (სანიაღვრე არხისა და გზის რეკონსტრუქცია);

1.2.1

აეროპორტის დასახლებაში შ. ხიმშიაშვილის ქუჩისა და აეროპორტის გზატკეცილის დამაკავშირებელი ახალი ქუჩის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

მესხეთის ქუჩის სანიაღვრე სისტემის მოწყობა;

მარეთის ქუჩის სანიაღვრე სისტემის მოწყობა;



ჟილინის არხის კაპიტალური რეკონსტრუქცია;

მაჭახლის ქ. №77-ში სანიაღვრე არხის დაზიანებული კედლის აღდგენა;

ნინოშვილის ქუჩაზე მთავარი სანიაღვრე კოლექტორის მშენებლობა.

წყლის სისტემების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)

1.2.2

ერისთავის ქუჩაზე წყლის სისტემის რეკონსტრუქცია.

კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

1.2.3

ახალი საკანალიზაციო სისტემების მოწყობა (ხახულის I შესახვევში საკანალიზაციო სისტემის მოწყობა)

მესხეთის ქუჩის კანალიზაციის მოწყობის სამუშაოები

ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 03 02 04)

პროექტის ფარგლებში განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოების საძიებო-კვლევითი სამუშაოები და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

1.2.3

პროექტის ფარგლებში განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულების ნაწილის და დამატებული ღირებულების გადასახადის თანადაფინანსება;

მოსახლეობის ინდივიდუალური გამრიცხველიანება, წყალმზომების დაყენება.

ქალაქის მოსახლეობისათვის სასმელი წყლის მიწოდებისა და საკანალიზაციო სისტემის მომსახურების ტარიფების შენარჩუნების მიზნით შპს „ბათუმის წყალის“ სუბსიდირება

ქალაქის დასუფთავება (პროგრამული კოდი 03 02 05)

ქალაქის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება;

ნარჩენების გატანა;

1.2.4

მაწანწალა ცხოველების გაუვნებელოება;

ნაგავსაყრელის ექსპლუატაცია;

დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირება.

სანიტარიული დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 06)

1.2.5

ქალაქის ტერიტორიის დეზინსექცია-დერატიზაცია.

გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 07)

განათების წერტილების მოვლა-ექსპლოატაცია;

1.2.6

ელექტროენერგიის საფასურის დაფარვა;

ქალაქის ქუჩების განათების კაპიტალური სამუშაოები;

ილია ჭავჭავაძის ძეგლის დეკორატიული მინათების სამუშაოები.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 02 08)

სახლების სახურავების შეკეთება-მოწყობა;

სახლების წყლისა და საკანალიზაციო სისტემის შეცვლა;



სახლების სადარბაზოების კეთილმოწყობა;

ლიფტების შეკეთება;

სახლების ეზოებისა და სკვერების კეთილმოწყობა;

1.2.7

მრავალსართულიანი სახლების ეზოების კომუნალური სისტემის მოწესრიგება;

ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა;

ქალაქში არსებული ავარიული და სტიქიის შედეგად დაზიანებული სახლების შეკეთება-რეაბილიტაცია;

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;

კონკურსი "ჩვენი სახლი - ამხანაგობა";

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების პროგრამის მართვა.

იაფი სახლი - სტანდარტული საცხოვრისი თანაქალაქელებს (პროგრამული კოდი 03 02 09)

1.2.8

საცხოვრებელი სახლის მშენებლობა - 7350 კვ.მ საცხოვრებელი ფართი.

ქალაქის კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 03)

1.3

ქ. ბათუმის სოციალურ-ეკონომიკური და ურბანული განვითარების პერსპექტივები, ასევე გეოგრაფიული გარემო ხელს უწყობს ბათუმს, რათა იგი გადაიქცეს შავი ზღვისპირეთის ერთ-ერთ ტურისტულ ცენტრად, მაგრამ ბუნებრივი რესურსების გარდა აუცილებელია ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის მიზანმიმართული პოლიტიკა, რაც საშუალებას მოგვცემს მოვიზიდოთ უფრო მეტი ტურისტი და დამსვენებელი არამარტო ტურისტული სეზონის, არამედ მთელი წლის განმავლობაში.

ინფრასტრუქტურის განვითარებით და კეთილმოწყობის პროექტების რეალიზებით შესაძლებელია ქალაქის ეკონომიკური განვითარების ტემპების დაჩქარება და უახლოეს მომავალში მაქსიმალური ეფექტის მიღება როგორც მოსახლეობის დასაქმების, ასევე შემოსავლების გაზრდის მხრივ.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და ტექნიკური ზედამხედველობა (პროგრამული კოდი 03 03 01)

1.3.1

ქალაქში სამომავლოდ განსახორციელებელი პროექტებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;

ქალაქში ავარიული სახლების გამაგრების საექსპერტო დასკვნებისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;

მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობის გაწევა.

1.3.2

ქალაქის დაგეგმარება (პროგრამული კოდი 03 03 02)

ქალაქის ქონების (მ.შ. მიწის) პასპორტიზაცია;

უსახური და უკანონო შენობა-ნაგებობების დემონტაჟი;

ქალაქის ქუჩების დაგეგმარება.

საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 03 03 03)

ქ. ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 ნოემბრის №92 განკარგულების შესაბამისად, ქონების მესაკუთრეებზე კომპენსაციების გაცემა

1.3.3

ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისა და კეთილმოწყობითი (მათ შორის ბაგრატიონისა და



ერისთავის ქუჩების რეკონსტრუქციის) სამუშაოების განხორციელების მიზნით ან/და ქალაქის ტერიტორიებზე ექსპროპრიაციის განხორციელებისათვის ქონების მესაკუთრეებზე კომპენსაციების გაცემა;

ქ. ბათუმის მერიის მიერ შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ნაკისრი სხვა ტიპის კომპენსაციების გაცემა.

ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 03 04)

1.3.4 ექსპერტიზის, საძიებო, საპროექტო და საზედამხედველო სამუშაოები;

შენობა-ნაგებობებისა და მიმდებარე ტერიტორიების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები;

ქალაქის გაფორმება (პროგრამული კოდი 03 03 05)

საშობაო-საახალწლო დღესასწაულისათვის ქალაქის გაფორმება;

1.3.5 წლის განმავლობაში ქალაქის გაფორმების ღონისძიებები;

ფეიერვერკების შეძენა-გასროლა.

პარკების, სკვერებისა და მოედნების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 03 06)

ახალი ბულვარიდან კვარიათამდე ფეხით მოსიარულეთა ზღვისპირა ბილიკის აღდგენა;

1.3.6 ზ. გორგილაძის ქუჩაზე მუზეუმის მიმდებარედ სკვერის კეთილმოწყობა;

ქალაქის ცენტრალურ ნაწილში სასმელი წყლის შადრევნების მოწყობა.

ქალაქის გამწვანების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03 07)

ქალაქის გამწვანების მიმდინარე ღონისძიებების განხორციელება;

1.3.7 ყვავილებისა და ხე-მცენარეების შეძენა;

შადრევნების მოვლა-პატრონობა.

ქალაქის გამწვანების სამუშაოებისათვის აუცილებელი სპეცტექნიკის შეძენა.

1.3.8 ბათუმის განვითარების ფონდი (პროგრამული კოდი 03 03 08)

ბათუმის განვითარების პროექტების შემუშავება-მომზადება და მათ განხორციელებაში და რეალიზებაში მონაწილეობის მიღება.

სასაფლაოების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 03 09)

სასაფლაოების მიმდინარე მოვლა-პატრონობა;

სასაფლაოების ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები;

1.3.9 ჩაქვში გამოყოფილი სასაფლაოს ტერიტორიის დაპროექტება;

ფერიის სასაფლაოს ინვენტარიზაცია (ელ. ვერსიის შექმნა);

უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვა.

ტურისტული ობიექტების მართვა (პროგრამული კოდი 03 03 11)

1.3.10 ტურისტული ობიექტების ეფექტური მართვის მიზნით, შპს - „ქ. ბათუმის ტურისტული ობიექტების მართვის სააგენტოს“ სუბსიდირება;



პრიორიტეტი: განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

- 2 განათლებაზე ზრუნვა იწყება ადრეული, სკოლამდელი ასაკიდან. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიურ უფლებამოსილებებს განეკუთვნება სკოლამდელი განათლების დაფინანსება. ბავშვის ადრეული განვითარება ის საძირკველია, რომელზეც შემდეგ საზოგადოებისათვის სრულფასოვანი, ჯანსაღი პიროვნება შენდება. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია ბავშვის ადრეულ განვითარებასა და აღზრდაზე ზრუნვა, მისთვის განვითარების მასტიმულირებელი გარემოს შექმნა, სწორედ ამიტომ, საბავშვო ბაღში აღზრდასა და სწავლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

- 2.1 საბავშვო ბაღი წარმოადგენს დაწესებულებას სკოლამდელი ასაკის ბავშვების საზოგადოებრივი აღზრდისათვის. საბავშვო ბაღი, როგორც დაწესებულების ტიპი, ბევრ ქვეყანაში არსებობს და წარმოადგენს, ჩვეულებრივ, პირველ რგოლს განათლების სისტემაში. პროგრამის ფარგლებში საბავშვო ბაღების 6400-ზე მეტი აღსაზრდელისთვის შექმნილი იქნება ყველა პირობა გონებრივი და ფიზიკური განვითარებისათვის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ბავშვთა ბაღებში ნორმალური პირობების უზრუნველყოფა პატარებისთვის, მათი გონებრივი და ზნეობრივი განვითარების მიზნით; ბავშვების ჯანმრთელობაზე ზრუნვა და სწორი ფიზიკური განვითარება. განხორციელდება საბავშვო ბაღების ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო მიმდინარე ხარჯების დაფინანსება და აუცილებლობის შემთხვევაში შესაბამისი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება.

საბავშვო ბაღების განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 01 01)

საბავშვო ბაღებში სააღმზრდელო პროცესის ორგანიზება;

- 2.1.1 საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა კვებით უზრუნველყოფა;

საბავშვო ბაღების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება (გადამზადება);

საბავშვო ბაღების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.

საბავშვო ბაღების შენობების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 01 02)

ნონეშვილის ქუჩა №60-ში მდებარე შენობა-ნაგებობის საბავშვო ბაღის შენობად გადაკეთება და მასზე სართულის დაშენება;

- 2.1.2 ჯავახიშვილის ქ.82-ში მდებარე №21 საბავშვო ბაღის შენობების რეკონსტრუქცია;

ინასარიძის ქ. №14-ში მდებარე №85 საბავშვო ბაღის შენობის რეკონსტრუქცია და მასზე სართულის დაშენება.

შაფათავას ქუჩაზე №13 საბავშვო ბაღის სარეკონსტრუქციო სამუშაოები;

კახაბრის დასახლებაში საბავშვო ბაღის მშენებლობა.

სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 02)

- 2.2 სახელმწიფო უზრუნველყოფს სრული ზოგადი განათლების მიღებას. მოსწავლის განათლების სახელმწიფო დაფინანსება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში გრძელდება 12 წლის განმავლობაში, ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი ვაუჩერით. მიუხედავად აღნიშნულისა, კვლავ პრობლემად რჩება იმ მოსწავლეთა დაფინანსება, რომლებმაც „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ ვადებში ვერ დაძლიეს საბაზო/საშუალო საფეხური. სწორედ მათი ხელშეწყობის (სწავლის საფასურის ანაზღაურების) მიზნით განხორციელდება საჯარო სკოლების სუბსიდირება.

დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 04 02 01)



„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის შესაბამისად, საჯარო სკოლების სუბსიდირება.

პრიორიტეტი: კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

3

ქ. ბათუმში ინფრასტრუქტურული პროექტებისა და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია კულტურული ტრადიციების ხელშეწყობა და კულტურული ფასეულობების დახვეწა. მრავალი სოციალური-ეკონომიკური ცვლილების კვალდაკვალ, რამაც მსოფლიო ჩვენით დააინტერესა, მნიშვნელოვანია უნიკალური კულტურული პოტენციალის წარმოჩენა და პოპულარიზაცია. ამ მხრივ მიმართული კულტურის პროგრამის ღონისძიებები ხელს შეუწყობს ბათუმის საერთაშორისო-საფესტივალო ქალაქად დამკვიდრებას, ქალაქის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებას, შემოქმედებითი ცხოვრების გააქტიურებას, აქ მოღვაწე და მოწვეულ ხელოვანთა წარმოჩენასა და მათი შემოქმედების პოპულარიზაციას, ნოვატორული იდეების წარმოჩენასა და წახალისებას, ხელოვნების სხვადასხვა დარგის პოპულარიზაციას.

ასევე მნიშვნელოვანია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, ქ. ბათუმის ბიუჯეტიდან გაგრძელება სხვადასხვა კულტურული და სპორტული ღონისძიების დაფინანსება, კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, წარმატებული სპორტსმენებისა და კულტურის სფეროში მოღვაწე პირების წახალისება და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი შესაძლებლობების გამოვლენა.

ასევე მნიშვნელოვანია შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება რათა ქალაქმა შეძლოს საერთაშორისო სპორტული და კულტურული ღონისძიებების და აქტივობების მაღალ დონეზე ორგანიზება და ჩატარება.

სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

3.1

სპორტული ცხოვრების პროპაგანდა მოსახლეობის ჯანსაღი ცხოვრების წესში მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ერის ჯანმრთელობა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ქვეყნის მომავლისა. დაგეგმილია სხვადასხვა სპორტული სახეობების განვითარება-პოპულარიზაცია და საკლუბო გუნდების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ქალაქში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის აღდგენა და რეაბილიტაცია.

სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 01)

ბათუმის ადმინისტრაციებში შემავალ უბნებს შორის სპორტული თამაშები;

საერთაშორისო ტურნირი საპლაჟო ფეხბურთში ბათუმის თასზე;

რუსუდან სიხარულიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ტანვარჯიში;

სპორტული თამაშები სკოლებს შორის;

საერთაშორისო ტურნირი ტაეკვანდოში;

საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მუხრან ვახტანგაძის თასზე;

საერთაშორისო ტურნირი ვ. ალთაბაევის თასზე კალათბურთში;

3.1.1

საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში;

საერთაშორისო ტურნირი ქვიშის ფრენბურთში;

საერთაშორისო ტურნირი სპორტულ ცეკვებში;

ტურნირი ჩოგბურთში ქ. ბათუმის მერიის თასზე;



ახალგაზრდა სპორტსმენთა მხარდაჭერა;

დამეგობრებულ ქალაქ იალოვას ახალგაზრდულ-საფეხბურთო გუნდთან საფეხბურთო მატჩების ორგანიზება;

რუსულ ბილიარდში მსოფლიო თასის I ეტაპის ორგანიზება;

სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები.

სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 01 02)

საფეხბურთო კლუბ „დინამო ბათუმის“ სუბსიდირება;

სარაგბო კლუბ „ბათუმის“ სუბსიდირება;

ფრენბურთის კლუბ „ბათუმის“ სუბსიდირება;

ხელბურთის კლუბი „ბათუმის“ სუბსიდირება;

3.1.2

წყალბურთის კლუბ „ბათუმის“ სუბსიდირება;

ბათუმის საცხენოსნოსო კლუბის სუბსიდირება;

კლუბ „ბათუმის ავტოდრომის“ სუბსიდირება;

„საჭადრაკო კლუბ ნონას“ სუბსიდირება;

შპს საკალათბურთო კლუბ „ბათუმის“ სუბსიდირება.

სპორტულ-ახალგაზრდულის ცენტრის განვითარება (პროგრამული კოდი 05 01 03)

ფიგურული სრიალის სპორტის სახეობის განვითარება;

3.1.3

მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება (უნიფორმებისა და ციგურების შეძენა);

სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა.

სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 01 04)

სპორტული მოედნების მშენებლობა;

3.1.4

ანგისის დასახლებაში სპორტული ბაზის მშენებლობა;

მცირე ზომის ყინულის მოედნის გადაკეთება მრავალფუნქციურ სპორტულ დარბაზად;

სარაგბო სტადიონის მშენებლობა.

კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ადგილობრივი ხელოვანი საზოგადოების განვითარებას, მათი შესაძლებლობების ზრდას და კავშირების გაღრმავებას მსოფლიოს თანამედროვე სახელოვნებო ინსტიტუტებთან. მნიშვნელოვანია ქალაქის კულტურული ცხოვრების გაჯანსაღება, გამრავალფეროვნება და განვითარება რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ბათუმის როგორც კულტურის მნიშვნელოვანი კერის ცნობადობისა და ტურისტული პოტენციალის ზრდას. ამ მხრივ პროგრამა მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ბათუმის, როგორც ფესტივალების ქალაქის განვითარებას, რაც გამოიხატება ჩვენი ქალაქისათვის ტრადიციული და ახალი ფესტივალების ჩატარებით. ამ მიზანს ემსახურება ასევე ქალაქში არსებული კულტურული დაწესებულებების მხარდაჭერა და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობა.

3.2

უმნიშვნელოვანესი ამოცანაა კულტურული ფასეულობების დახვეწა. შემოქმედებითი კონკურსები, სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობები და დამხმარე ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა



ამ გამოწვევის დაძლევის საშუალებაა. აღნიშნული პროგრამა ასევე მიზნად ისახავს იმ ადამიანების და ჯგუფების ხელშეწყობას, რომლებიც მოღვაწეობენ კულტურის სხვადასხვა დარგში.

კონკურსებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 02 01)

კონკური - სელიმ ხიმშიაშვილის ქანდაკების ესკიზისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაქმნელად;

კონკურსი - ტბელ აბუსერისძის ქანდაკების ესკიზისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაქმნელად;

კონკურსი - 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირთა (გ. მაზნიაშვილი და გრ. ლორთქიფანიძე) უკვდავყოფის მემორიალის ესკიზისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაქმნელად;

კონკურსი- რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულ გმირთა მემორიალის ესკიზის შესაქმნელად;

კონკურსი - საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას მემორიალური ბიუსტის ესკიზის შესაქმნელად;

3.2.1 კონკურსი - 9 აპრილის გმირთა მემორიალის ესკიზის შესაქმნელად;

კონკურსი - ეგნატე ნინოშვილის მემორიალური ბიუსტის ესკიზისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაქმნელად;

ცნობილ ბათუმელთა საიუბილეო თარიღებისადმი და საპატიო ბათუმელებისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზება;

ლიტერატურული საღამოების ორგანიზება;

ბათუმელ ხელოვანთა ხელშეწყობა;

წიგნების გამოცემის ხელშეწყობა;

დღიასპორების ხელშეწყობის ღონისძიებები;

თვითმმართველობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;

სხვადასხვა ღონისძიებები.

ბათუმი არტი - ფესტივალების ქალაქი (პროგრამული კოდი 05 02 02)

ბლუზის საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზება;

ექსპერიმენტალური მუსიკის ფესტივალის ორგანიზება;

3.2.2 ქალაქური მუსიკის ფესტივალის ორგანიზება;

კლასიკური მუსიკის VI საერთაშორისო ფესტივალის - „ღამის სერენადები“ ორგანიზება;

ბათუმის საავტორო ფილმების IX საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზება;

ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის IX საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზება.

ქალაქის ტურისტული პოტენციალის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 03)

პროექტის - „ბათუმი კრეატიული ქალაქი“ ორგანიზება;

პორტალის „ეს ბათუმი“/„ბათუმის ენციკლოპედია“ შექმნა;

ბათუმი - სარეკლამო სასაჩუქრე ალბომი და მოწვევის წერილები;



3.2.3 ინფო-ტური ჟურნალისტებისთვის;

სამეცნიერო კონფერენცია „ინკლუზიური ტურიზმი და უნივერსალური დიზაინი“;

კონკურსი, „ბათუმი ოცნების ქალაქი“;

სტრიტ-არტის ფესტივალის ორგანიზება;

სხვადასხვა ღონისძიებები.

ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 04)

კულტურულ-შემოქმედებითი ხასიათის პროექტების დაგეგმვა, ორგანიზება და განხორციელება;

საერთაშორისო და საქართველოს მასშტაბით კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება;

3.2.4 ქალაქისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა;

მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება;

მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენა;

უნიფორმების შეძენა.

ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 05)

საბიბლიოთეკო საქმიანობის ორგანიზება;

3.2.5

კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიებების, საკლუბო შეხვედრების ორგანიზება;

ბეჭდური და ელექტრონული გამოცემების შეძენა.

ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 06)

ბოტანიკური ბაღის მიმდინარე მოვლა-პატრონობა;

3.2.6

ბოტანიკურ ბაღში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება;

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.

კულტურული ღონისძიებების საკონცერტო მომსახურებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 05 02 08)

3.2.7 თვითმმართველობის მიერ ორგანიზებული ღონისძიებების სცენით და განათებით უზრუნველყოფა;

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.

საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები მიმართულია ქალაქ ბათუმის ახალგაზრდების, სტუდენტებისა და მოსწავლეებისათვის. მის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენს სოციალურად დაუცველი და დაუსაქმებელი ახალგაზრდები. პროგრამის ფარგლებში ჩატარდება

3.3

საგანმანათლებლო, შემეცნებითი, სოციალური, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებები როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო მასშტაბის. ახალგაზრდობის საქმეთა მუნიციპალური პროგრამა ქმნის მექანიზმებს, რათა ხელი შეეწყოს ბათუმში ახალგაზრდული სფეროს განვითარებას და ეფექტურ მართვას. ცალკეული ღონისძიებები



იმღევა შესაძლებლობას ხელი შეეწყოს ახალგაზრდების ინტეგრაციას საზოგადოებაში და მათი სამოქალაქო შეგნების ზრდას.

ახალგაზრდობის საქმეთა ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 03 01)

ქ. ბათუმის მოსწავლეთათვის მხიარულთა და საზრიანთა თამაშების ღია ჩემპიონატი;

საკვირაო სკოლა ბათუმელი ახალგაზრდებისათვის;

ინტელექტუალური თამაშები „რა? სად? როდის?“;

შემეცნებითი ტურები სქართველოს სხვადასხვა რეგიონებში;

ბათუმის ახალგაზრდული თეატრალური კვირეული;

ახალგაზრდული ფოლკლორული დღეები;

სამთო ახალგაზრდული ბანაკი;

ბათუმის სტუდენტური ფესტივალი;

სტუდენტური დასაქმება;

სკაუტური მოძრაობის ორგანიზაციის მხარდაჭერა;

სხვადასხვა ღონისძიებათა ხარჯები;

3.3.1

პრიორიტეტი: მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

